პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 13 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 104 (802) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა.

დღეს წითელ მოსკოვში იხსნება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა წარმომადგენლები დღეს კრიბებიან მუშურ-გლეხური მთავრობის ნამუშევარის განსახილველად დღიდან მეორე საკავშირო ყრილობისა, და შემდეგ დასკვნების გამოსატანათ.

როგორია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ამ უკანასკნელ წელში? მივდივართ წინ თუ არა?

როგორი უნდა იყოს მომავალი მუშაობის ძირითადი ხაზი?—აი ის მთავარი საკითხები რომლებიც დგანან მესამე ყრილობის წინაშე.

რომ საბჭოთა ქვეყნის მეურნეობა აღორძინების გზას დაადგა—ეს უკვე დღეს ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.

განსაკუთრებით ეკონომიური ზრდის სწრაფი განვითარება დაიწყო ამ უკანასკნელ წელში, მას შემდეგ რაც გატარდა ფულის რეფორმა და საბჭოთა მანეთმა მტკიცე, ურყევი კურსი დაიჭირა. დიდათ გაიზარდა მსხვილი მრეწველობა. მრეწველობის ისეთი დარგება, როგორიც ლითონის წარმოებაა და ნავთის მრეწველობა იმდენათ წინ წაიწიენ, რომ სულ მალე ომამდე არსებულ მდგომარეობას მიაღწევენ. უკვე ეს ფაქტი—მსხვილი მრეწველობის სწრაფი წინსვლა საუკეთესო მტკიცებაა საბჭოთა კავშირის განმტკიცების და გაძლიერების.

მრეწველობის ზრდა განვითარებასთან ერთად დიდ მიღწევებს ვამჩნევთ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებშიაც.

საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა ცხადია უდიდეს ყურადღებას მიაქცევს სოფლის და მის მეურნეობის შემდეგი განვითარების და აღდგენის საკითხებს და სათანადო პრაქტიკულ ამოცანებს დაუყენებს ამ მხრივ საკავშირო მთავრობას.

მესამე ყრილობის დღის წესრიგში დგას აგრეთვე წითელი არმიის საკითხი. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა მეტად განმტკიცდა, გარეშე საფრთხის საშიშროებამ მაინც საგრძნობლად იმატა.

მსოფლიო ბურჟუაზიამ კვლავ დაიწყო ცილისწამებათა და პროვოკაციის კამპანია ჩვენს წინააღმდეგ.

ამის მიზეზია იგივე ჩვენი ზრდა.

ამიტომაც წითელ არმიის განმტკიცების საქმეს, მისი ბრძოლის უნარიანობის აწევას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ხელისუფლების მიერ. და საკავშირო ყრილობა თავისი გადაწყვეტილებით უზრუნველყოფს ნორმალურ პირობებს წითელ არმიის ძლიერების შემდეგი ზრდისა და მისი რიგების მეტ განმტკიცებისათვის.

ამრიგად საკავშირო მესამე ყრილობის წინაშე მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხები დგანან, რომლებზედაც ის სათანადო გადაწყვეტილებებს გამოიტანს.

ყველა წითელ-არმიელებმა დიდის ყურადღებით უნდა ადევნონ თვალყური ყრილობის მუშაობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების თითეული ამოცანა მიმართული მუშების და გლეხების კეთილდღეობის განმტკიცებისაკენ მაშინ მიაღწევს მიზანს, როცა მის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ყოველი მშრომელი.

## რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში სწორი გზით მიიმართება.

ჩინეთის ხალხის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთი წუთითაც არ წყდება. მიუხედავათ სუნ—იატ—სენის სიკვდილისა და იაპონიის იმპერიალიზმის მოსარჩლეს ჩჟან—ზო—ლინის გაბატონებისა ჩინეთში, მშრომელთა მასები მაინც არ იღებენ ბრძოლაზე ხელს. ამას ნათლად გველაპარაკება ჩვენ ის დიდი ანტი-იმპერიალისტური დემონსტრაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 7 მაისს პეკინსა და კანტონში (ჩინეთის მთავარი ქალაქებია).

ამ დღეს ათი ათასზე მეტ კაცისაგან შემდგარ დემონსტრაციამ კვლავ ისროლა ლოზუნგი იმპერიალიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა და მის კლანჭებისაგან ჩინეთის განთავისუფლებისა. მართლადაც, ჩინეთის ხალხის სიძულვილმა უცხოელ ბატონებისა და მათ მოსარჩლეებისადმი უმაღლეს წერტილს მიაღწია.

დაუსრულებელმა სამოქალაქო ომმა სხვა და სხვა ღენერლებს შორის, რომლებიც ამა თუ იმ იმპერიალისტურ ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ფართო მასები. დიდი ხანი არაა, რაც დამარცხდა ღენერალი უ-პეი-ფუ, რომ სისხლის ღვრა კვლავ იწყება ჩინეთის დღევანდელ ბატონ ჩჟან-ზო-ლინსა და ღენერალ ფინ-იუან-სინის შორის. კვლავ აუარება მსხვერპლი, კვლავ ტბა სისხლისა და ომის გამანადგურებელი შედეგები—აი რა მოელის ჩინეთს.

ცხადია ეს გარემოება არამც თუ არ ადუნებს მშრომელთა მასების რევოლიუციონურ ენერგიას, პირიქით უფრო აკაჟებს მას, ვინაიდან რაც დღე მიდის ჩინეთის მასები უფრო და უფრო რწმუნდებიან რევოლიუციონურ ბრძოლის აუცილებლობაში. და მართლადაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვატყობთ დიდ წარმატებებს ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. პირველ მაისს 200.000 კ. მეტ ჩინეთის გლეხებმა დაადგინეს შევიდენ გლეხთა ინტერნაციონალში.

სრულიად ჩინეთის მუშათა კავშირების ყრილობამ გადასწყვიტა შევიდეს წითელ პროფინტერნში.

ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტებია.

ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი ამ თავითვე იწყებს ბრძოლას წითელი დროშის ქვეშ. მას უკან არ რჩება არც ჩინეთის გლეხობა. ამ რიგად რევოლიუციონური ბრძოლა ჩინეთში დასაწყიშივე სწორ მიმართულებას იღებს. და რამდენათ უფრო ძლიერი იქნება იმპერიალიზმის შემოტევა ჩინეთზე და რამდენათ შიგნით გამწვავდება ღენერლებს შორის ბრძოლა, იმდენათ უფრო სწრაფად განვითარდება რევოლიუციონური ბრძოლა ჩინეთის მშრომელთა მასების.

ამას წინად ჩვენ ვსწერდით მაროკოს არაბების აჯანყებაზე, დღეს გვიხდება ჩინეთის მასების რევოლიუციონურ საქმიანობაზე ლაპარაკი.

ორივე ეს ფაქტი ღაღადებენ მას რომ რევოლიუციონურ დასავლეთს მხნედ ამოუდგა გვერდში რევოლიუციონური აღმოსავლეთიც და თავის მხრივ მედგრათ უტევს გახრწნილ იმპერიალისტურ სამეფოს!

—გ.

# ახალი რადიო-ამბები

## სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა.

**დღეს, 13 მაისს გაიხსნება სრულიად კავშირის მესამე საბჭოთა ყრილობა.**

**ყრილობის დღის წესრიგში შედის:**

**1) საკითხი თურქმენთა და უზბეკთა რესპუბლიკების შესვლის შესახებ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, 2) საბჭოთა კავშირის მთავრობის ანგარიში, 3) საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობა, 4) ღონისძიებანი გლეხის მეურნეობ-ს ასამაღლებლად და გასამტკიცებლად (სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვა), 5) საბჭოთა მთავრობის საკითხები, 6) საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება, 7) მოხსენება წითელი არმიის შესახებ, 8) საბჭოთა კავშირის ცაკის შედგენა.**

## სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა სპეკულიაციის აყვავების საქმეში.

### „ფორვერტის" ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს."

ბერლინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბარმატის მიმოწერა სოციალ-დემოკრატ გეიმანთან და ოტტოველსთან ქრთამების შესახებ, რომელსაც ღებულობდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი გუსტავ ბაუერი. (ბაუერს ეჭირა სხვადასხვა სამინისტრო და რეიხსკანცლერის პოსტი გერმანიაში).

ბაუერი ამ ქრთამების ნაცვლად ხელს უწყობდა ცნობილ მწარმოებელ ბარმუტს თავის სასპეკულიაციო საქმეში.

წერილები ამტკიცებენ, რომ გეიმანსა და ველსს ახლოს სცოდნიათ ბარმატისა და ბაუერის ოინები.

მაგრამ „ფორვერტსი" მაინც სცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალ-დემოკრატების ბელადთა ურთიერთობა ბარმატთან უმწიკვლო იყოო.

## ოპოზიციონური კავშირი ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ.

ვინაიდან ბესარაბიის ჟანდარმერიამ დაარღვია ბესარაბიის გლეხთა პარტიის დეპუტატების შეუვალობა, ნაციონალურმა და გლეხთა პარტიამ შეჰკრეს კავშირი და აპირობენ ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას და მოითხოვენ ახალი არჩევნების დანიშვნას.

## „ფინეთის მთავრობა უპასუხისმგებლოა თავის მოქმედებაში."

ამას წინად ფინეთის რწმუნებულმა ლონდონში დონნერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის განაცხადა, რომ „ჩვენ არ გვსურს გვქონდეს რაიმე საერთო რუსებთან"-ო. ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებმა ამის შესახებ მიმართეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და მოსთხოვეს განმარტება. მინისტრმა განაცხადა შემდეგი:

„ამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო რაც შეეხება იმ ფრაზას, რომელმაც მიიქცია საბჭოთა კავშირის ყურადღება,—ვერ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული.

ასე უნებურად წარმოთქმულ სიტყვაში არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ფინეთის მთავრობა"-ო.

## პროტესტი ბულგარელ სისხლის მსმელთა წინააღმდეგ.

11 მაისს მოსკოვში მოხდა დიდი საპროტესტო მიტინგი ფაშისტების მხეცური ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთის მუშებისა და გლეხების მიმართ.

მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია ღრმა აღშფოთება და პროტესტი ბულგარეთის ჯალათების მხეცური ძალადობის წინააღმდეგ.

მიტინგ-დემონსტრაციაზე დაესწრო ხუთი ათას კაცზე მეტი.



მოკვეთილი თავები არაბების, რომლებიც ტყვედ ჩაუვარდათ საფრანგეთის ჯარებს და ასე საშინლად აწამეს.

## გაფიცვები იაპონიის ფაბრიკებზე ჩინეთში.

გაფიცულთა მწარმოებელთა შორის საზოგადოებრივ ორგანიზაციების საშუალებით დაიწყო მოლაპარაკება, რასაც ჯერ არ მოჰყოლია შეთანხმება.

იაპონიის კონსულმა მოსთხოვა ჩინეთის ხელისუფლებას დაპატიმრება გაფიცვის ყველა მქადაგებლისა და ბელედის, გადასახლება არასასურველ ელემენტებისა მუშათა საერთო საცხოვრებელ ადგილებიდან და ფხიზლად თვალყურის დევნება გაფიცულთა მოქმედებისათვის.

დაიწყო ახალი გაფიცვა იაპონელთა საფეიქრო ფაბრიკა „ნაგაიზე" შანხაიში. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

## სათადარიგო წითელ-მეთაურთა სამოსწავლო შეკრება.

საბრძოლო მომზადების შენახვის მიზნით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: ნება დართოს რევსამხსაბჭოს-მოიწვიოს მიმდინარე წელში ერთი თვით სათადარიგო მეთაურთა შემადგენლობა სამოსწავლო შეკრებაზე.

## წითელი არმიის არტილერიის სამმართველოს უფროსად დაინიშნა დიბენკო.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით № მსროლელი კორპუსის უფროსი დიბენკო დანიშნულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის არტილერიის სამმართველოს უფროსად.

## იზრდება გლეხობის ლტოლვა პარტიაში.

ოდესის მხარეში შემჩნეულია სოფლის პარტიულ ორგანიზაციების ზრდა. გასულ წელს პარტიაში შევიდა 263 გლეხი, ხოლო ამ წლის 4 თვის განმავლობაში პარტიაში შევიდა 335 კაცი. პარტიაში შედიან უმთავრესად კომუნებისა, კოლექტივების წევრები და მოჯამაგირეები.

## საკურორტო დახმარება გლეხობას.

არჩევნების შემდეგ ლედავა მოითხოვს მიეცეს ამოცანა რ. ს. ფ. ს. რ-ს ცაკსა და სახკომსაბჭოს, რათა მიმდინარე საბიუჯეტო წელში გადადებულ იქნას 2 მილიონი მანეთი გლეხობაზე საკურორტო დახმარების გასაფართოებლად.

სემაშკო მხარს უჭერს ლედავას წინადადებას. ცაკი ერთხმად ღებულობს წინადადებას.

## მუშკორი--მებრძოლია რევოლიუციონურ კანონიერებისათვის.

კალუგის საგუბერნიო პროკურატურამ გაზეთ „კომუნას" მუშკორთა ცნობების მიხედვით 6 თავის განმავლობაში აღძრა 1.570 საქმე, ამათგან უკვე დამთავრებულია 600 მეტი.

მუშკორთა ცნობები დიდ სამსახურს უწევენ ადგილობრივ პროკურატურას რევოლიუციონურ კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ.


## ქ. წ. დრ. არმიის საოლქო ბაზა

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 15 მაისს დღის 12 საათზე ბაზის კანცელარიის შენობაში, ავლაბარში, ფიოლეტოვის ქუჩა № 18 დანიშნულია.

**ზეპირი საჯარო ვაჭრობა**

იყიდება ქვემო ჩამოთვლილი პროდუქტები და ფურაჟი: ქვავის ფქვილი—1400 ფუთი, გრეჩიხის კრუპა—100 ფუთი, შვრია—400 ფუთი; გარდა აღნიშნულ პროდუქტებისა გაიყიდება აგრეთვე ნაკლებ ღირსების გრეჩიხის კრუპა—500 ფუთამდი და სხვა ბაზისთვის გამოუსადეგი პროდუქტები და ქონება.

ქ. წ. დ. ა. საოლქო სასურსათო ბაზის უფროსი მახალკინი.

უფროსი საქმის მწარმოებელი ვაჩკაიზერი.


## რსფსრ-ს ახალი ცაკისა სხდომა.

11 მაისს შესდგა რსფსრ-ს ახალი ცაკის სხდომა. ამხ. ენუქიძის განცხადებით განზრახულია შემდგარ იქნას ცაკის პრეზიდიუმი 19 კაცისაგან, 17 კაცის მაგივრად. ახალი ცაკის პრეზიდიუმს ემატება ერთი უპარტიო გლეხი და ერთიც—უპარტიო მუშა.

პრეზიდიუმში შედიან: ასფენდიაროვი, დოგადოვი, ენუქიძე, ზალუცკი, იზვეკოვი, კალინინი, კამენევი, კურსკი, პოლუიანი, სმიდოვიჩი, როგოვი, სტალინი, მოლოტოვი, ლარკინი, სმირნოვი, ტალოკონცევი, კისელიოვი, ციურუპა, ტომსკი; ცაკის თავმჯდომარედ—კალინინი, მდივნად—კისელიოვი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დასახელებულია რიკოვი.

ერთხმად იქნა მიღებული სახალხო კომისართა შემდეგი შემადგენლობა: ფინანსთა სახალხო კომისარი—მილიუტინი, მიწადმოქმედების—სმირნოვი, შინაგან ვაჭრობის ლობაჩევი, განათლების—ლუნაჩარსკი, ჯანმრთელობის—სემაშკო, უზრუნველყოფის—იაკოვენკო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის—შვერნიკი, შრომის—ბახუტოვი; უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე—ბოგდანოვი.

## სომხეთის საგანგებო კომისიის ოფიციალი განცხადება.

სომხეთის საგანგებო კომისიის კოლეგიამ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალი ცნობა:

„1924 წლის შემოდგომაზე სოფელ ახპატში მოკლულ იქნა კომკავშირელი ტელემაკ. ერზინკიანი, 21 წლის, წ. კით. მცირე მცოდნე, მოხუცი მშობლების ერთად-ერთი შვილი, რომელიც მუსიკალურ ინსტრუმენტზე ამღერებდა სოფლად სოფლის საბჭოს თავმჯდომარის წევრების, უჯრედის წევრებისა და აგრეთვე გლეხთა ნაკლისა და დანაშაულობის შესახებ. ის არ იყო სოფლის კორესპონდენტი, მაგრამ ის იყო „ცოცხალი გაზეთი" სოფლად. მკვლელობა მოხდა აღმაშფოთებელი წესით.

უჯრედის ბიურომ, რომელშიაც შედიოდა 8 კაცი, გადასწყვიტა ერზინკიანის მოკვლა და მიანდო ეს საქმე ორ უპარტიოს—მარუკიანსა და ისრაელიანს.

ამაზე მარუკიანი შეეკითხა შეუძლია თუ არა კომუჯრედის ბიუროს მისცეს უპარტიოს ასეთი „დავალება"-ო, კომპარტიის წევრმა შამბარიანმა უპასუხა; „ვინც არ აასრულებს პარტიის ბიუროს ბრძანებას მას არ აქვს ადგილი საბჭოთა ქვეყანაში"-ო.

ამ განცხადების შემდეგ მარუკიანი და ისრაელიანი კისრულობენ ერზინკიანის მოკვლას.

# სამხედრო საქმე.

**ავიაციის მუშაობა სხვა და სხვა გვარ ჯარებთან ერთად საბანაკო პერიოდში.**

საბანაკო პერიოდში არმიის მომზადების საქმე ფართედ უნდა იქნას წარმოებული. სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარებმა უნდა გამოიყენონ ზაფხულის პერიოდი, რათა შეისწავლონ სამხედრო საქმე შეერთებულად.

ბრძოლაში წარმატება უზრუნველყოფილია მაშინ, როცა ყოველი მეომარი, ყოველი ნაწილი, ყოველი ცალკე გვარი იარაღის ჯარი თავისი სპეციალური მუშაობით მიმართავს თავის ღონიესძიებებს საერთო მიზნისაკენ. ამრიგად შეერთებული მუშაობა და ურთიერთ დახმარება არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიც. ხოლო ამისთვის რომ მოემზადო, უნდა შეისწავლო მშვიდობიან დროს ის, რის გაკეთებაც მოგიხდება ომში.

როგორია ავიაციის როლი შეერთებულ მუშაობაში თანამედროვე ომის პირობებში?

ავიაციას აქვს ის დიდი უპირატესობა, რომ მას შეუძლია ადვილად და ჩქარა დაზვეროს მტრის ზურგი და გაიგოს თუ რა ხდება მის ბანაკში. ამიტომ ავიაციის დახმარება უებარია, ვინაიდან მას შეუძლია ისეთი ცნობების შეკრება, რაიც სხვა გზით შეუძლებელია.

მეორე უმთავრესი ამოცანა, რომლის შესრულება წარმატებით შეუძლია ავიაციას,—ეს არის კავშირის დაჭერა მსხვილ რაზმებს შორის. ხშირად ტეხნიკური კავშირის გამოყენება საჭირო დროს შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში შეუდარებელია ავიაციის როლი.

ბრძოლის წარმოების დროს ავიაციას შეუძლია დახმარება გაუწიოს თავის ჯარებს ცოცხალ მიზნებზე ბომბების დაშენით, ან ამავე საშუალებით ისეთი პუნქტების შემუსვრით, რომლებიც ხელს გვიშლიან წინსვლაში.

ბოლოს მას შეუძლია შეებრძოლოს მტრის საჰაერო ძალებს და არ მისცეს მას საშუალება ჩვენი დაზვერვის, ბომბების დაშენისა და სხვა.

აქ შეუძლებელია ჩამოთვლილ იქნას ყველა ის ამოცანები, რომლებიც შეიძლება დაეკისროს ავიაციას შეერთებულ მოქმედების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ავიაციის მუშაობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად ის სწყვეტს ომის ბედს.

აი რატომაა საჭირო, რომ ყოველი მეომარი საბანაკო პერიოდში გაეცნოს ავიაციას. ამასთან ერთად მეომრები თვითონ დარწმუნდებიან, თუ როგორ ძნელია ავიაციისაგან თავისი მოქმედების დაფარვა და აქედან—თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შენიღბვის ცოდნას.

**ზოგიერთი თავისებურობა შაშხანის წმენდის დროს.**

ყოველი მეომრისათვის ცხადია, რომ შაშხანა მისთვის შეუდარებელი მეგობარია ბრძოლაში. მთელი ტეხნიკა, როგორიც კი მონაწილეობს ბრძოლაში, მსროლელის დამხმარეა. გარდა ამისა ჰაეროპლანები, ტანკები, მხუთავი გაზები, ქვემეხები—ყველა ეს მეტად ფეხ-მძიმეა და მათი ყოველგან ხმარება შეუძლებელია. შაშხანა კი, აგებულობის სიმარტივისა და სიმსუბუქის გამო, შეიძლება იხმარო ყოველთვის და ყოველ გარემოებაში.

ამისათვის ისეთი ხელსაყრელი იარაღი, როგორც შაშხანაა, ყურადღების ღირსია ყველა სამხედრო მოსამსახურეების მხრივ.

ეს ყურადღება უნდა გამოიხატებოდეს შაშხანის წესიერად შენახვისათვის, რისთვისაც მეომარს ეძლევა იარაღის საწმენდი მოწყობილება.

საწმენდი მოწყობილობა თავის მხრივ უნდა იყოს სუფთა, ხოლო მეომარს უნდა შეეძლოს მისი სათანადოდ ხმარება.

გარდა მასზე მიცემული საწმენდი წყობილებისა, მეომარმა თვითონ უნდა დაამზადოს სხვა და სხვა ზომის პატარა ხის ნიჩბები და ჯოხები, რათა გამოსწმინდოს ჭუჭყი ნახვრეტებიდან, კუთხეებიდან, სავაზნეს ხრახნილ ღარებიდან, რგოლის ნაწარმიდან და შაშხანის სხვა ნაწილებიდან. ამასთან საწმენდი ძენძი და ჩვარი უნდა იყოს რბილი და სუფთა.

შაშხანის წმენდის დროს დაცულ უნდა იქნას შემდეგი წესი: შაშხანის დაშლილი ნაწილები უსათუოდ უნდა დააწყო სუფთა ჩვარზე, რომ არ დაეცვივდეს სილა და მტვერი; ამასთან არ უნდა იხმარო არასდროს ლითონის ჩოთქი, მაგარი ფხვნილი, სახეხი ქაღალდი, აგური, სილა და სხვა ასეთი საშუალება.

ზეთი, ნავთი, ძენძი და ჩვარი—აი ყველაფერი, რითაც შეიძლება შაშხანის წმენდა. ხოლო იმისათვის კი, რომ არ გამოგრჩეს წმენდის დროს რომელიმე ნაწილი და ღარი, უნდა დაიცვო ერთგვარი წესი და ამ წესის მიხედვით უნდა გადახვიდე ერთი ნაწილიდან მეორეზე. დამწვარი დენთის დანალექი ლულაში უნდა გამოსწმინდო ნავთ-წასმული ჩვარით, შემდეგ უნდა გამოამშრალო და გამოუსვა ზეთი. თუ რომ ოდნავ ჟანგსაც კი შეამჩნევ (მაგ. სიწითლეს), ჯერ უნდა დაალბო ზეთით, შემდეგ კი გასწმინდო ჩვარით. თუ რომ ჟანგი არ იწმინდება, მაშინ ზეთი მალე არ უნდა მოსწმინდო, არამედ რამოდენიმე წუთის შემდეგ მას უნდა წაუსვა ხის ჯოხი, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხეხო აგურით, სილით, სახეხი ქაღალდით და სხვა.

ი. ბარ.

# სამხედრო ქიმია.

**საომარი კვამლი.**

საომარ გაზებს გარდა, რომელთა გაშვებაც შეიძლება არტილერიის, თოფის ან ხელის სასროლ გრანატით, საავიაციო და სხვა ბომბებით, სამხედრო საქმეში იხმარება კიდევ ქიმიური იარაღის სხვა სახეები, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა „საომარ კვამლის" სახელწოდებას.

აქვე მოთავსებულ სურათზე გამოხატულია ახალი, ეგრედ წოდებული „კვამლი ჭადრაკი", ე. ი. განსაკუთრებული ხელსაწყო, საომარი კვამლის გამოსაშვებად. ეს ჭადრაკი შესდგება თხელი ლითონის, ქაღალდ გადაკრულ მასრისაგან, ნ, რომელიც სავსეა ძლიერ მწველი ნივთიერებით მ; ეს ნივთიერება გაჟღენთილია მეტად მომწამვლელ საომარი ნივთიერებით გ (აღნიშნულია პატარა წრეებით).

ჭადრაკის ზემო ნაწილში იმყოფება საცობი მოწყობილება ზ. ზევიდან ჭადრაკი იხურება სახურავით ქ. კვამლიანი ჭადრაკის ასამუშავებლად, საკმარისია ავხადოთ საცობი; ამ საცობზე შეერთებული ნემსი ხახუნით ცეცხლს გააჩენს ჭადრაკის ნივთიერებაში მ. ნივთიერების მ წვის დროს, მასში არეული მომწამვლელი შემადგენლობა გ ჯერ გადნება, შემდეგ აორთქლდება და ძლიერი მოწოლით ამოვარდება ჰაერში საცობი ყელიდან ზ. ჰაერში გაცივების შემდეგ ეს ძლიერ მომწამვლელი და მძიმე ორთქლი ანუ კვამლი ეშვება მიწაზე და იქ-




ცევა მკვრივ, სქელ და მომწამვლელ ღრუბლად, რომელიც ანადგურებს ყველაფერ ცოცხალს, რაც კი მოხვდება შიგ. ამ გვარ კვამლს ჩვეულებრივად ეწოდება „საომარი მოწამლული კვამლი".

აღნიშნული კვამლის ჭადრაკი იწონის სულ ორ კილოგრამს და დაახლოებით ასეთი ზომისაა: სიგრძით უდრის დაახლოებით 50 სანტიმეტრს, დიამეტრით—7 ნახევარ სანტიმეტრს.

ასეთი მომწამვლელი—კვამლიანი ჭანდრაკით შეუძლია შეიარაღდეს ყოველი ცალკე მეომარი და უნდა ითქვას, რომ მოფიქრებულ და გამბედავი მეომარის ხელში ჭადრაკი წარმოადგენს იშვიათსა და ძლიერ თავდასხმისა და თავდაცვის იარაღს.

ამ გვარივე კვამლის ჭადრაკი მზადდება დავდაცვის მიზნით მხოლოდ მასში არ არის მომწამვლელი ნივთიერება. ასეთ ჭადრაკში მომწამვლელ ნივთიერების გარდა აწყობენ ისეთ..., რომლებიც წვის დროს უშვებენ მეტად ბევრს, მაგრამ სუ... თქვისათვის სრულიად უვნ... კვამლს. ასეთი კვამლის სქელ... ქულები სრულიად უმჭვირვა... ლია და მას ხმარობენ „კვამლის ფარდის" სახელწოდებით. კვამლის ფარდებს მიმართავ... მაშინ, როცა სურთ დაჰფარონ მტრისაგან თავისი მოქმედე... და მომზადება. ის კარგად იცავს ბანაკს მტრის საჰაერო მ... ვერავისაგან, და აგრეთვე საშუალებას აძლევს სუსტ გე... ფარულად გაექცეს ზღვაზე ძლიერ მტერს, კვამლის ფარდებს წინადაც ხმარობდენ ომში, მაგრამ განსაკუთრებული საბრძოლო მნიშვნელობა მას ექნება მომავალ ომებში, როგორც ფრონტისთვის, ისე ზურგში ჰაეროპლანის თავდასხმისაგან ქალაქებისა და სოფლების დაცვად.

გარდა მომწამვლელ კვამლის და გაზის ფარდებისა,—ომში ხმარობენ სხვა და სხვა ფერის შეღებულ კვამლს. ესენი იხმარებიან საერთო სიგნალიზაციისთვის დღისით და მათ უშვებენ ჰაერში მაშხალების საშუალებით.

ლ. ვორონოვი.

# პარტიული ცხოვრება.

**სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.**

შვებულებაში წასვლის დროს კომუჯრედმა დაავალა კურსანტებს გასცნობოდენ იმ სოფლების ცხოვრებას, რომლებშიაც მიემგზავრებოდენ ისინი.

კურსანტები უნდა გასცნობოდენ პარტიულ ამხანაგებს ახკომკავშირის, გლეხკომის, კოოპერატიულ დაწესებულებების მუშაობას ადგილზე და შვებულებიდან დაბრუნებისა შემდეგ გაეკეთებინათ მოხსენებები კომუჯრედში. დავალება ამხანაგებმა პირნათლად შეასრულეს.

მაისის 9 შემდგარ კომუჯრედის სხდომაზე კურსანტებმა გააკეთეს დავალებულ თემებზე შესაფერი მოხსენებები. გამოირკვა, რომ ბევრ სოფელში ჯერ კიდევ არ არის ნორმალური მდგომარეობა, ბევრ პარტიულ მომუშავეებს ვერ აქვთ კარგად შეგნებული თავისი დანიშნულებანი და მოვალეობა, ბევრი დაწესებულება ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

კომუჯრედმა დაადგინა შეადგინოს ფართე მოხსენება, თანახმად კურსანტების მოხსენებისა და გადაგზავნოს სადაც ჯერ არს.

თვით კურსანტები კი ამზადებენ წერილებს, გადასაცემათ გაზეთ „ახალ სოფელში."

გარდა იმისა, რომ კურსანტები ეცნობოდნენ სოფლის მდგომარეობას, აწარმოებდენ იქ მუშაობასაც.

გაუკეთებიათ მოხსენება სხვა და სხვა თემებზე, მიუღიათ მონაწილეობა საპირველ მაისო კომპანიის ჩატარებაში, დაუდგამთ წარმოდგენები და მათ შვებულებში ყოფნას არ ჩაუვლია უნაყოფოდ.

პარტკორი **ე. ხუციშვილი.**

## ჩვენი საქმიანობა.

9 მაისს საგაუბიცო ბატარეიაში შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო ბატარეიის მთელი შემადგენლობა და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მომაგრებული წარმომადგენლები.

წარს. კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ, დღიური წესრიგის მეორე საკითხზე—„პირი სოფლისაკენ"—მოხსენება გააკეთა ამხ. ხუჰუამ, რომელმაც დამსწრეთა გასაგები ენით აღნიშნა საკითხის მნიშვნელობა და წითელ არმიელთა როლი მასში.

მოხსენების ირგვლივ იყო ბევრი შეკითხვა, რის შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ამავე კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება კომუჯრედის მუშაობაზე. მოხსენება გააკეთა კომუჯრედის მდივანმა ამხ. წულაიამ, რომელმაც აღნიშნა გატარებული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. კრებამ მდივნის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლათ.

დაბოლოს ამხ. წულაია აცნობს კრებას, რომის გადაყვანილია ცეკას განკარგულებაში და საჭიროა ახალი მდივნის არჩევა.

კრების მიერ მდივნათ არჩეულ იქნა ახალი პოლიტ-ხელი ამხ. ხუხუა.

წ. არ. **გ. ბარათაშვილი.**

## ვემზადებით საბანაკოთ გასასვლელათ.

კიდევ რამოდენიმე დღე და ჩვენი ნაწილი ცალკე მესანგრე ასეული—მთელი შემადგენლობით გავა საბანაკოთ. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. ყველა მოუთმენლათ მოელის წასვლის დღეს.

საზამთრო პერიოდის შემდეგ წითელ არმიელებს მოუხდებათ თავისუფლათ ამოსუნთქვა წმინდა ჰაერზე მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ჩვენი ნაწილის წითელ არმიელების შემადგენლობა ჯერ კიდევ ვერ იცნობს საბანაკო ცხოვრებას, მით უმეტეს მათში მყოფი ახალწვეულები.

ჩვენი ნაწილის, როგორც მესანგრესი, საბანაკოთ გასვლას აქვს დიდი მნიშვნელობა, იმ მხრივ რომ დღევანდლამდე შესწავლულს გადავიტანთ პრაქტიკაში. ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას ჩვენი ნაწილი შეასრულებს პირნათლად; განვამტკიცებთ მჭიდრო კავშირს მუშებთან და მშრომელ გლეხობასთან და სხვა მომავალი მუშაოპის დიდი ამოცანებით მივეშურებით საბანაკოთ.

სამხკორი **ლ. გიორგაძე.**

## კოოპერატივო, გამოასწორე ნაკლი!

ჩვენი მეორე ლეგიონის კოოპერატივი ვერ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. კოოპერატივის გამგეობას ხშირად ავიწყდება ის რომ, კოოპერატივის წევრთა უმრავლესობას წითელ არმიელები შეადგენენ. კოოპერატივის გამგე ამხ. ხუხუნაიშვილს ხომ სულ არ სურს იცოდეს ეს ამბავი. რაში გამოიხატება კოოპერატივის ნაკლი? უპირველეს ყოვლისა კოოპერატივი დაშორებულია ლეგიონზე, სადაც წითელ არმიელები შემთხვევით თუ შევლენ. შემდეგ, კოოპერატივი იკეტება ისეთ დროს, როცა წითელ არმიელები თავისუფლდებიან სამსახურის საათებიდან, მესამეც ის, რომ კოოპერატივში თქვენ ნახავთ „ოდეკალონს", ყვავილისა და მურაბის ბანკებს ან დაკბილულ „გალეტებს" და სხ. პირველი მოთხოვნილების საგნები კი არ არის.

რა საჭიროა წითელ არმიელთათვის „ოდეკალონები" და „გალეტები"?

წითელ არმიელთა კოოპერატივს აუცილებლათ უნდა ჰქონდეს თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, შაქარი, პური, კალბასი, ყველი, თევზი, თხილი და სხ. აი წითელ არმიელთა მოთხოვნილების საგნები, რომელსაც ჩვენი კოოპერატივი სავსებით მოკლებულია. კოოპერატივის გამგეობამ ამ მდგომარეობას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი.

**სიმართლე.**




## ჩვენი წვევამდელთა წერტები.

**4 ხე ლეგ. 7 დე ასეული.**

მეოთხე ლეგიონის 7-დე ასეულის წვევამდელთა წერტების მეცადინეობა დაიწყო 28 თებერვალს. პირველ ხანებში მეცადინეობა ძლიერ სუსტად მიმდინარეობდა. არავინ გვეხმარებოდა მატერიალურად, მიუხედავად ამისა, მეთაურთა მონდომებული მუშაობის მეოხებით მეცადინეობის შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. წვევამდელები დიდი ხალისით ეკიდებოდენ როგორც პოლიტიკურ ისე სამხედრო მეცადინეობას.

25 აპრილს ლეგთავმა სხვა წერტებთან ერთად ინახულა ჩვენი ასეულის წერტებიც. ამხანაგმა გამართა საუბარი წვევამდელებისაგან სამხედრო საქმის შესწავლის მნიშვნელობაზე, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ტერნაწილების განმტკიცებისა და საბჭოთა ხელისუფლების ზედმეტი ხარჯებისაგან განტვირთვის საქმეში.

ლეგთავი შეეხო აგრეთვე დეზერტირობას და ხაზი გაუსვა იმას თუ რამდენად მავნებელი და საზარალოა ის საერთო საქმისათვის.

ამის შემდეგ დაიწყო წვევამდელთა ზერელე გამოცდები, რამაც ძლიერ დააკმაყოფილა ამხანაგი. მან მადლობა გამოუცხადა, როგორც წვევამდელებს, ისე მათ მეთაურებს მონდომებული და ენერგიული მუშაობისათვის.

ამ უკანასკნელ ხანებში წერტებზე დაიწყო სროლაში ვარჯიშობა, რის შემდეგ ამხანაგები გაშვებული იქნებიან თივთავიანთ სახლებში. იმედია ისინი პირველ გამოძახილისთანავე კვლავ ხალისიანად ჩადგებიან თავის რიგებში.

**შ. ღვდელაძე.**

## ჩავიბარეთ დროშა.

მეექვსე ლეგიონის მეექვსე ასეულმა პირველი მაისის სადღესასწაულო აღლუმის დროს ადგ. სამაზრო პროფბიუროსგან ჩაიბარა წითელი დროშა.

კარლ მარქსის მოედანზე ხალხის ტევა არ იყო.

აღლუმზე დასასწრებლათ მოედანზე შეიკრიბენ პარტიის და კომკავშირის წევრები, პიონერთა რაზმი, ჩვენი ასეულის წითელ არმიელები და მწვევამდელები, ადგილობრივი მცხოვრებნი და სხ. აღლუმს დაესწრენ აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. მიტინგი ფეხბურთის მოედანზე გახსნა ამხ. სოფიანიდმა, რომელმაც მოკლედ აღნიშნა პირველი მაისის მნიშვნელობა.

მიტინგზე ილაპარაკეს ბევრმა ორატორებმა. ბოლოს პროფბიუროს სახელით პანიდიდი მეექვსე ასეულს აბარებს წითელ დროშას და ამბობს სიტყვას წითელ არმიის დანიშნულებაზე და მუშებისა და გლეხების კავშირზე.

აღლუმის დამთავრების შემდეგ სამაზრო პროფბიურომ ჩვენი ასეულის წითელ არმიელებს დაურიგა საჩუქრები და გაუმართა სადილი. სადილს დაესწრენ: პარტკომის წარმომადგენელი, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გალუზიატნიკოვი და სხ.

მეექვსე ლეგიონის მეექვსე ასეული მუშებისა და გლეხების მიერ ჩაბარებულ დროშას არასოდეს არ დახრის ძირს და ფხიზლათ იდგომება მუშათა კლასის სადარაჯოზე.

**ა. ფეხმაშვილი.**

## კიდევ უყურადღებობა.

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდში ირიცხება ვეტ-ექიმი ამხ. შელუხინი.

ამხ. შელუხინი, როგორც ვეტ-ექიმი აუცილებლათ უნდა ესწრებოდეს ცხენების გაწმენდას. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ის მობრძანდება მხოლოთ ხანდისხან და ისიც 10—12 საათზე, როცა უკვე გათავებულია ცხენების წმენდა-დასუფთავება.

ხშირია შემთხვევა, რომ ექიმი სრულებით არ მოდის თავის დროზე.

ასეთი გულგრილობას საქმისადმი უნდა მოეღოს ბოლო.

**ღელეს პირელი.**

## ამხ. ფილიპე მახარაძე ჩვენთან.

26 აპრილი მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულისათვის სასიხარულო დღე იყო. ამ დღეს სხვა ამხანაგებთან ერთად ვენს ათასეულს ესტუმრა ჩვენი ჰალარა ბელადი—საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე.

ათასეული ყოველმხრივ მზად დახვდა ძვირფას სტუმარს. წითელ არმიელთა სიხარულს საზღვარი არა ქონდა. სტუმარშეხვდა ათასეულის თავი.

ამხ. ფილიპემ დაათვალიერა ჩვენი ათასეულის მოწყობილება, ესაუბრა უფპოლიტშემადგენლობას ათასეულის მდგომარეობაზე და სხ.

რის შემდეგ გამოგვემშვიდობა და წავიდა სხვა და სხვა ადგილების დასათვალიერებლად.

წითელ არმიელები ძალიან გახარებული დარჩენ და დიდ მადლობას უძღვნიან ჩვენს ბელადს, რომელიც ხშირად მოინახულებს ხოლმე წითელ არმიას.

წ. არ. **ბატკუაშვილი.**

## მადლობა და სალამი.

ქ. მ. დივიზიების ნაწილებში, სამხედრო პოლიტიკური სკოლა დამთავრებული პოლიტ-ხელები უკვე შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას, და ენერგიულად მოჰკიდეს ხელი წითელი არმიის პოლიტიკურათ აღზრდის საქმეს და სხ.

სამხედრო პოლიტ-სკოლაში შეძენილ ცოდნას ახლათ მოსული პოლიტ-ხელები მოახმარენ ჩვენი წითელი არმიის აღმშენებლობას.

ამავე დროს ჩვენი ნაწილებიდან წავა ძველი პოლიტ-ხელების ნაწილი სხვა და სხვა სკოლებში უფრო მეტი -დნის შესაძენათ, რომლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებიან ახალი ენერგიით და ახალი ცოდნით ჩვენი წითელი არმიის რიგებს.

დაუფასებელია ის შრომა, რომელსაც აწარმოებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი პოლიტ ხელთა კადრი. მის მიერ გადალახულ იქნა უძნელესი დაბრკოლებანი და ერთ წუთს არ ავიწყდებოდა წითელ არმიელთა პოლიტ-აღმზრდელობის საქმე.

დიდი მადლობა წამსვლელთ და ჩვენი სალამი მომსვლელებს.

წ. არმ. **გ. მარგიშვილი,**

## კვლავ ახმაურდა ჩვენი სკოლა.

**სამხ. გაერთიან მეთაურთა სკოლა.**

6 მაისიდან დავიწყეთ პრაქტიკულ-საველე მეცადინეობა ტოპოგრაფიაში. რამოდენიმე ჯგუფად დანაწილებული კურსანტები შეიარაღდენ ყიბლანით მუყაოთი, ფანქრებით ქაღალდებით და შეუდგენ თბილისის მიდამოების თვალზომურ აგეგმას.

სკოლის საარტილერიო განყოფილება კი გაემგზავრა ქ. კოჯორისაკენ პერსპექტიული აგეგმის მოსახდენად.

ბევრ ჩვენგანს არც კი ენახა კოჯორი, და გაოცებაში მივიდენ ამხანაგები. ქალაქის მსუბუქმა-სუფთა ჰაერმა და ცივმა წყალმა ძლიერ გაგვახალისა.

რამოდენიმე საბავშო სახლი უკვე ჩაბარგებულა იქ და ბავშვების ჟრიამული არ სწყდება ტყეში.

ჩვენც ავირჩიეთ ერთი მაღლობი ადგილი და შეუდექით ჩვენს საქმეს. გადავიღეთ კოჯორის ნაწილი, სოფ. ტაბახმელა, კუმისის ტბა და ქოროღლის ციხე. ამნაირად პერსპექტიული და სამარშუტო აგეგმა კოჯორში დავამთავრეთ. დანარჩენში კი შევავსებთ ჩვენს ცოდნას საბანაკო ადგილზე მეცადინეობით.

საერთოდ საველე მეცადინეობა ძლიერ აინტერესებთ ამხანაგებს და იმედია სათანადოთ შეისწავლიან მას.

სამხკორი **ჭ. ასათიანი.**

## მოგვიტყუეთ წითელი კუთხე.

**5 თე ლეგ. პირველი ათასეული.**

ათასეული აქამდე მოთავსებული იყო ლეგიონის ყაზარმების ქვეითა სართულში. აქ კარგად ვიყავით მოწყობილი. გვქონდა მშვენივრად მორთული ლენინის—წითელი კუთხე: ყველას გული ამ კუთხისაკენ მიისწრაფოდა, უსმენდენ იქ გამართულ საუბრებს, ხმამაღალ კითხვას და სხვა. ერთი სიტყვით კუთხე ჩვენთვის ყველაფერი იყო.

კარგა ხანია, რაც გადაგვიყვანეს ყაზარმის მეორე სართულში. ჩვენი მშვენივრად მოწყობილი კუთხე დაგვატოვებიეს. ახალ ბინაზე შესაფერისი ადგილიც ვერ გვიშოვია, რომ კუთხე მოვაწყოთ. სდგას ერთი მაგიდა, მაგრამ ყველაფერი ვერ თავსდება ზედ.

ჩვეულებრივი სიცოცხლე, ხალისიანობა და ინტერესი აღარ სჩანს კუთხეში. გარეგნულ მხარესაც დიდი გავლენა ჰქონია როგორც სჩანს, და კარგი იქნება თუ ჩვენი ხელმძღვანელები ლეგიონიდან ხელს შეუწყობენ კუთხის გამგეს საჭირო პლაკატებისა და სხვა მასალების მიწოდებით; წინააღმდეგ შემთხვევაში წითელ არმიელების ინტერესი კუთხისადმი აუცილებლად შენელდება.

ამას გარდა იქ სადაც ამ ჟამად მოთავსებულია კუთხე ჩამოდის წყალი- საჭიროა შეაკეთებინ სახურავი.

სამხკორი **აბაზი.**

# ამბები სოფლებიდან

**სასოფლო გზები.**

სოფ. კუდაროში, ჯავაში და მონასტერში (სამხრეთ ოსეთი) ადგილობრივი აღმასკომები შეუდგენ გზების გაყვანას.

**ავათმყოფებისათვის.**

ახალციხის აღმასკომმა დაავალა ჯანმრთელობის განყოფილებას ყოველდღეობით შეიძინოს საავათმყოფოში მწოლიარე ავათმყოფთათვის რძის საკმაო რაოდენობა.

**სკოლების შეკეთება.**

სამხრეთ-ოსეთის ცაკის თაოსნობით შეუდგენ სკოლების შეკეთებას სოფ. ქელიათში, ერმანში, ვანათში და სამთავისში.

**მარანის მოწყობა.**

ქოლობნის სათემო გლეხკომმა (სენ. მაზრ.) გადასწყიტა მოაწყოს და გახსნას ადგილობრივ მარანი.

# ახალი ამბები.

— **მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილებამ** ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა ყველა ნაწილებს, რათა სამხედრო წრეების ორგანიზატორებმა უშუალო კავშირი დაიჭირონ გაზ. „წით. არმ." რედაქციასთან.

— **ვინ მოიგებს ცხენს?** კვირას 24 მაისს, მიწ. მოქ. სახ. კომისარიატი დიდუბეში მართავს დიდ დოღს. დოღზე გათამაშებულ იქნება ერთი ცხენი. ცხენი გათამაშებულ იქნება შესასვლელ ბილეთებზე. შემოსავალი მოხმარდება საშეფო სოფელ არაგვიანს და მუშტ. საფ.-საქარხნო სკოლას.

— **ტრამვაის ლიანდაგისათვის.** რუსეთში უკვე ჩამოუსხამთ 64.000 ფუთი სალიანდაგო ზოდები.

— **ტრამვაის მოძრაობის** გასაადვილებლად ციციანოვის აღმართზე დაგებულ იქნა სათადარიგო ლიანდაგი ტრამვაის ვაგონებისათვის.

— **სიკვდილიანობის** შემთხვევის გამო აპრილის განმავლობაში ტფ. დამზღვევ სალარომ გაუცია დახმარებათ 2.170 მანეთი.

— **აეროპლანების შეკეთება.** ა. კ. საავიაციო საზოგადოებამ შეაკეთა 2 აეროპლანი, რომლებითაც ზაფხულზე იწარმოებს ფრენა სხვა და სხვა აგარაკებზე.

— **ინვალიდთა არტელის** კლუბს „ახალი წრეს" ქალაქის აღმასკომმა აპატია საერთო ვალის რაოდენობიდან 10 ათასი მანეთი.

— **სკოლების შესაკეთებლათ.** მაზრაში ქალაქის აღმასკომმა გადასდო დამატებით 17.708 მანეთი.

— **ნათესების მდგომარეობის** გამოსარკვევათ ტფილ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. სუხიშვილის, ადიკაშვილის, ვაწაძის, ასრიევის, სალომინის და სხვ. შემადგენლობით.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ჰაეროპლანი პარაშიუტი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფრანგ მფრინავ ლეპინტმა წამოაყენა ჰაეროპლან-პარაშიუტის კომბინაცია.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ თქვენ ზიხართ უზარმაზარ სამგზავრო ჰაეროპლანის კაბინაში, რომელიც მიფრინავს რამოდენიმე ათას მეტრის სიმაღლეზე დედამიწიდან.

მოულოდნელად გაისმის აფეთქების ხმა. მანქანა ცხვირით ეშვება ძირს თვალმოუკვრელი სიჩქარით... კიდევ ერთი წუთი, მეორე—უნებურად გაივლის აზრი თქვენს თავში და...სიკვდილი.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ასეთი აზრი ელვავს თქვენს თავში, მფრინავი სრულიად აუღელვებლად დააჭერს ხელს მასთან მოთავსებულ ბერკეტს და თქვენთვის სრულიად მოულოდნელად, ჰაეროპლანის ფრთები, მოტორი, ბენზინის მომაკავებელი ჭურჭლები და პროპელერი, მოსცილდებიან ჰაეროპლანს.

ამავე დროს ძირს დაქანებული ფრთებ მოცილებული ჰაეროპლანი ნაწილდება და იშლება შიგნი. ჰაერის ტალღების ზედმოქმედებით ის იშლება და იღებს უზარმაზარი ქოლგის—პარაშიუტის სახეს.

იმის ნაცვლად, რომ კვლავ მიექანებოდე ძირს—აუცილებელ სიკვდილისაკენ, თქვენ ამ დროს გრძნობთ რაღაც სიამოვნებას, რადგან თქვენ ისევ თქვენს ადგილზე ზიხართ და ნელ-ნელა ეშვებით ძირს.

აი როგორ უნდა იქნეს მოწყობილი ასეთი ჰაეროპლანი-პარაშიუტი.

საქმე იმაშია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილების დაცილების შემდეგ ჰაეროპლანი არსებითად წარმოადგენს მოხერხებულად დაკეცილ პარაშიუტს.

ჰაეროპლანის კონსტრუქციის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მისი ნაწილი ისე არიან ერთმანეთთან შეერთებული, რათა ადვილად შეიძლებოდეს მათი ერთმანეთიდან დაცილება ყოველ საჭიროების დროს.

ამ როლს კი მშვენივრად ასრულებს სპეციალური ბერკეტი, რომელიც მოთავსებულია მფრინავის გვერდით.

ერთი მისი შამოტრიალება სავსებით შლის ჰაეროპლანს თავის შემდგენელ ნაწილად.

მთელი ამ ოპერაციისათვის საჭიროა მხოლოდ 2—3 წამი (სეკუნდი).

ცეცხლის საშიშროება სრულიად აღარ არსებობს, რადგან მოტორი და ბენზინი ძირს დაცემამდე კარგა ხნით ადრეა მოცილებული ჰაეროპლანის კორპუსიდან.

ასეთი ჰაეროპლანი ჯერ არ დაუმზადებიათ. ეს მხოლოდ პროექტი—გეგმაა.

ჰაეროპლანის პროექტის საკვირველ თვისებურებას წარმოადგენს მგზავრების დასაჯდომი სკამები, რომლებიც მოწყობილია ისე, რომ როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იქნეს ჰაეროპლანი. თუ გნებავთ კიდეც გადაბრუნდეს, მგზავრები მაინც წესიერად სხედან შიგ. სკამები დამაგრებულია მბრუნავ ჯოხზე.

კაპიტან ლეპინტას გამოანგარიშებით ჰაეროპლან—პარაშიუტის ძირს დაშვების სიჩქარე კატასტროფის შემთხვევაში იმდენად საიმედოა, რომ არავითარ საშიშროებას არ იძლევა.

ზოგიერთ სპეციალისტების აზრით, მიუხედავათ მრავალ საკვირველ მიღწევებისა, ჰაეროპლანის საერთო კონსტრუქციაში, შესაძლებელია იქნეს ისეთი დეფექტები, რომლებიც შეუძლებლად გახდიან პროექტის განხორციელებასო.

მაგრამ პროექტი თავის თავად ძლიერ საგულისხმოა და ფართო პერსპექტივებს შლის მომავალში საჰაერო მიმოსვლის სრულიად უზრუნველსაყოფად.

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 20.**

ერთი ნაჭერი რკინიდან, რომელიც იწონის ერთ ფუთს საჭიროა დამზადდეს ისეთი წონის ოთხი გირა, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ერთ გირვანქიანი სიმძიმების აწონა ერთი გირვანქიდან ერთ ფუთამდე.

რა და რა წონის უნდა იქნენ გირები, რომ დაკმაყოფილდეს ამოცანის პირობა?

# პასუხი შეკითხვებზე.

**წ. არმ. მ. ელბაქიძეს.** შემოიარეთ რედაქციაში პასუხის მისაღებათ.

**კითხვა.** წითელ ჯარში გამიწვიეს 1924 წლის ოქტომბერში. მე მყავს სახლში ექვსი სული. მარჩენალი ოჯახს არავინ ყავს. ჯარში წამოსვლისას მივმართე აღმასკომს, მაგრამ პასუხი არ სჩანს. გთხოვთ მიპასუხოთ შეიძლება თუ არა ჩემი ჯარიდან განთავისუფლება?

წ. არ. **ქისტაური ვასილი.**

**პასუხი.** წითელი არმიელის სამსახურიდან გაშვება მხოლოდ იმისათვის, რომ ის ერთად ერთი მარჩენალია შეუძლებელია.

საერთოდ ყველა წითელ არმიელთა საყურადღებოთ, ჩვენ ამ გვარ შეკითხვებზე ასეთი პასუხი გავეცით და მომავალში წერილობით პასუხს გაზეთის საშვალებით არ გავსცემთ.

# ვის აქვს საწინაალმდეგო.

1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის 1-ლ და 2-რე ბატარეის შეერთებულ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ. პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ, შემდეგ უპარტიო ამხანაგებს: 1) ლეჟავა სილბისტრო პორფილეს-ძეს (ქუთ. მაზ. სოფ. სალხინო). 2) კერესელიძე ტრიფონ ოქროპილის-ძეს (რაჭის მაზ. სოფ. კრიხი.) 3) გედენიძე იონა კომოთეს-ძეს (ქუთ. მაზ. სოფ. ოფურჩხეთი) 4) ჩომახიძე ვლადიმერ სამსონის-ძეს (ქუთ. მაზ. სოფ. გოჩა-ჯიხაიში). გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ზემო ხსენებულ ამხანაგების შესახებ გვაცნობოთ 15-დღის განმავლობაში 27-მაისამდე. ქ. ტფილისი (საბურთალო) საარტილერიო ლეგიონი.

პ. მგ. კომუჯრედის მდივანი: გ. **შალიკაშვილი.**

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები.

## ესტონეთი

2.

**ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან.**

ესტონეთი დაარსებიდანვე ჩვენს მოწინაალმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მათ შესძლეს ინგლისელების დახმარებით რეგულიარულ არმიების შექმნა. ინგლისელები უხვად აძლევდენ მათ ყოველგვარ საჭირო სამხედრო მასალას.

ინგლისის ფლოტმა თავის ბაზად გაიხადა ესტონეთის ნავთსადგურები ბოლშევიკურ პეტროგრადის და კრონშტატის წინაალმდეგ მოქმედების დროს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პეტროგრადიდან და მოსკოვიდან გაქცეულმა ბურჟუაზიამ მყუდრო თავშესაფარი ჰპოვა ესტონეთში და თვით ესტონეთის ბურჟუაზია ძლიერ მონდომებული იყო ბოლშევიკების ჩამოგდებით და აგრეთვე ისინი პირწმინდათ ემსახურებოდენ ინგლისელებს, წარმოსადგენია თუ რა შავ განზრახვების შესრულებას ჰფიქრობდენ ისინი. აქ ჩაისახა და განვითარდა იუდენიჩის არმია, რომელმაც ერთ დროს სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდო რევოლიუციონური პეტროგრადი.

აქ იყვენ ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერები ჩაიკოვსკი სავინკოვი და ცნობილი ავანტიურისტი ბულაკ—ბალახოვიჩი. მაგრამ ესტონეთს არ შეეძლო დიდხანს ყოფილიყო საომარ პირობებში. ერთის მხრივ, მათ საგონებელში აგდება კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება, რადგან მაშინ თვით რესპუბლიკის არსებობა საეჭვო შეიქნებოდა, მეორეს მხრივ, შინაურმა გამწვავებულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა ესტონეთის მთავრობა დასთანხმებოდა მოლაპარაკებაზე საბჭოთა რუსეთთან.

მოლაპარაკება 1920 წელს ხელშეკრულებით დასრულდა. ამით საბჭოთა რუსეთმა დაანახვა დასავლეთის ვაჭრებს, რომ მათთან ვაჭრობა ხელსაყრელია. და მართლაც პირველ ხანებში სრულიათ მთელი ჩვენი საგარეო ვაჭრობა ამ სახელმწიფოთი სწარმოებდა, რაც უამრავ სარგებლობას, აძლევდა მათ. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა პირველი „ფანჯარა" გაამტვრია ევროპაში.

**ეკონომიური მდგომარეობა.**

ესტონეთი უმთავრესად სასოფლო მეურნეობის მხარეა. მოსახლეობის 80 პროც. მიწას ამუშავებს. აგრარიული კულტურა მაღალ დონეზე დგას: მიწებს კარგათ ანოყიერებენ და ამუშავებენ, მაგრამ თავისი პური მაინც არ ყოფნით, რადგან პურისათვის ვარგისი მიწები არ მოიპოვება საყოფად.

მესაქონლეობა ძლიერ განვითარებულია. ამ მხრივ აქაური ერბო და ყველი ევროპაშიც ცნობილია.

ესტონეთის ეკონომიკაში თვალსაჩინო როლს თამაშობს მეთევზეობა, ის გასატან საქონლის უმთავრესი საგანია.

ესტონეთის საწარმოვო მრეწველობა შესდგება გემების, პიანინოს და სხვა აღმშენებლობის მასალების წარმოებისაგან განვითარებულია აგრეთვე საქსოვი მრეწველობა. ესტონეთის მრეწველობის განვითარებას უმაღლეს წერტილზე აღწევის დროს ქარხნებში 50.000 მუშა ირიცხებოდა. ომის დროს ნაწილი ამ ქარხნებისა გადმოტანილი იქმნა შუა რუსეთში. ეხლა მთავრობა ენერგიულ ზომებს ღებულობს მრეწველობის აღსადგენად. მუშების რიცხვი 1923 წელს უდრის 25.000 სულს.

ესტონეთის საგარეო ვაჭრობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

შემოტანა 9,4 მილ. ფუთი. 4,4 მილ. მარკა.

გატანა 7,3 მილ. ფუთი. 2,3 მილ. მარკა.

ას სახელმწიფოში უდიდეს როლს თამაშობს ნავთსადგურები.

სატრანზიტო ვაჭრობიდან შემოსული თანხები ფარავს დეფიციტის უდიდეს ნაწილს.

ჩვენში შემოტანილ საქონლის უმეტესობა შემოდის ესტონეთით. ესტონეთის ფინანსები ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად დეფიციტით თავდება.

ის თითქმის ყველა დიდ სახელმწიფოებიდან დავალიანებულია.

მუშათა და აგრარიული საკითხი ძლიერ მწვავედ დგას. არსებული წესწყობილება დიდათ უწყობს ხელს სპეკულიატურ ბურჟუაზიის და კულაკურ გლეხობის ზრდას. მრეწველობა ორჯერ ნაკლებია ვიდრე ომამდე იყო. აქედან უმუშევრობა მისი შედეგებია. მთავრობა არა თუ ცდილობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ დღითი დღე უმატებს გადასახადს პირველ საჭიროების ნივთებზე.

მუშათა მოძრაობა სწარმოებს კომუნისტურ, დამოუკიდებელ სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიების ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტია 1918 წლიდან არალეგალურ პირობებშია, აქედან წარმოსადგენია თუ რა ძნელი იქნება მისი მუშაობა. მიუხედავად ამისა, მას საკმაო ძლიერი ორგანიზაცია აქვს. სცემს ორ არალეგარულ გაზეთს. „დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიას" ერთიანი ფრონტი აქვს კომუნისტებთან. აქაური სოციალ-დემოკრატები თავიანთ ბუნებით არაფრით არ განსხვავდებიან რუსეთის მენშევიკებისაგან. ესტონეთის პროფ-კავშირები პირველ ხანებში სოციალ-დემოკრატების დიდ გავლენას განიცდიდენ. 1919 წლის აგვისტოს თვიდან ის სავსებით გადავიდა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების, გავლენის ქვეშ. მისი მუშაობა სწარმოებს რევოლიუციონურ ბრძოლით და მთლიან მუშათ ფრონტის ნიშნის ქვეშ. მხოლოდ ესტონეთის სასტიკი რეჟიმი არ იძლევა საშუალებას რომ მან გამოაცხადოს, თავის კომუნისტური პლატფორმა.

**არმია.**

ესტონეთის არმიის რაოდენობა უდრის 15.000 ჯარისკაცს. გარდა რეგულიარულ არმიისა, მას იარაღს, ქვეშ ყავს ორი ფარული ორგანიზაცია: „თავდაცვის ლიგა" და „სკაუტები". ოფიციალურად ისინი მშვიდობიან დანიშნულებისათვის არიან, თუნდ „ნადირობისათვის" სინამდვილეში კი ასრულებენ ჟანდარმთ კორპუსის, მოვალეობას. ფლოტი შესდგა რამოდენიმე შეიარაღებულ მცირე გემებისაგან. მათი არმია არაფრით არ განსხვავდება დანარჩენ ბურჟუაზიულ არმიებისაგან. ოფიცრებ „პოგონებით", ოფიცრულ ტრადიციებით და ჯარის კაცებ სწავლება ჯოხის საშუალებით.

ნ.